

პროექტი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

„-----“ ივლისი 2022 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 იანვრის №05 განკარგულებაში
„თელავის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ძეგლთა დაცვის
პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე
მუხლის შესაბამისად,

1. შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 იანვრის №05 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ძეგლთა დაცვის პროგრამის დამტკიცების შესახებ“.
2. განკარგულების დანართით დამტკიცებული „თელავის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი ძეგლთა დაცვის პროგრამა“ ჩამოყალიბდეს თანდართული ფორმით.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

საკრებულოს თავმჯდომარე

თენგიზ მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი

ძეგლთა დაცვის პროგრამა

№	დასახელება	განსახორციელებელი სამუშაოები	განხორციელების პერიოდი	თანხა (ლარი)
1	დაბახნების წყაროს რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა	დაბახნების წყაროს რეაბილიტაცია და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა	წლის განმავლობაში	109 000
2	არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა	სტორის და ლოპოტის ხეობის სოფლების არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კვლევა, სააღრიცხვო ბარათების შედგენა	წლის განმავლობაში	15 000
3	კისისხევის კლდეში ნაკვეთი გამოქვაბულები	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და სამუშაოების შესყიდვა	წლის განმავლობაში	35 500
4	ბეჭდვითი მომსახურება	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კატალოგის, გზამკვლევის, ფლაერებისა და სხვა სახის საინფორმაციო მასალების მომზადება/ბეჭდვა	წლის განმავლობაში	25 000
5	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები	ძეგლების მოვლისა და დასუფთავების ხარჯი	წლის განმავლობაში	12 000
6	სანებართვო მოსაკრებელი	სანებართვო ან ნებართვის გაგრძელების მოსაკრებელი	წლის განმავლობაში	1 000
7	სხვა ხარჯი	აღჭურვილობასთან დაკავშირებული და სხვა სახის ხარჯი	წლის განმავლობაში	10 000
	მთლიანი ბიუჯეტი			207 500

საკრებულოს თავმჯდომარე

თენგიზ მთვარელიშვილი